საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 471 2018 წლის 13 დეკემბერი ქ. თბილისი

ქ. სალუქვაძისა და მ. ხმალაძისათვის „მონღოლეთის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ქეთევან სალუქვაძესა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს მიხეილ ხმალაძეს მიენიჭოთ „მონღოლეთის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

საქართველოს მთავრობის აპარატი №1

მამუკა ბახტაძე